საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990147462913720

№10/4388 **14 / დეკემბერი / 2020 წ.**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ასლი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი წერილი (N9988/01 22.10.2020), რომლითაც წარმოდგენილია შპს "ურბანიკა"-ს მიერ შემუშავებული "დაბა სურამის გენერალური გეგმის" პროექტი და "დაბა სურამის გენერალური გეგმის" პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, არსებული გამოწვევების გადაჭრისა და დაბა სურამის განვითარების სტრატეგიის შექმნის მიზნით შემუშავებული კონცეფციების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ტურისტული პოტენციალის განვითარება, რაც უდაოდ, მნიშვნელოვანი ფაქტორია დაბის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ტურისტულ ერთიან სტრუქტურაში ჩასართავად მოაზრებულია დაბაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და არქეოლოგიური ობიექტები (პ. 2.2.4; პ. 6; პ. 8), მოცემულია მათი ანალიზი და გამოვლენილია ამ მხრივ ღირებული ახალი ობიექტები. მათთვის უძრავი ძეგლის სტატუსების მინიჭების შეთავაზებასთან ერთად გამოკვეთილია ასევე დაბისთვის კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონის, კერძოდ განაშენიანების რეგულირების ზონის დადგენის საჭიროება და მოცემულია აღნიშნული ზონის სარეკომენდაციო არეალი (იხ. გენგემის გრაფიკული ნაწილი). სავსებით ვიზიარებთ ამ შეთავაზებას, რომელიც მნიშვნელოვანია სურამის ძველ ნაწილში შენარჩუნებული ქუჩათა ქსელის, განაშენიანების, გეგმარებითი სტრუქტურის და მორფოლოგიის დაცვა/შენარჩუნებისთვის და კარგი დამცავი მექანიზმი იქნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვიზუალური დაცვის არეალების მიღმა არსებულ ტერიტორიებზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ქალაქის განვითარების შემოთავაზებული ხედვების განხორციელების პროცესში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულმა სამუშაოებმა შესაძლოა გაზარდოს კულტურულ რესურსებზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები, რის შესამცირებლადაც, სრულიად მართებულად, მოცემულია მკაცრი მონიტორინგის რეკომენდაცია. მიწის სამუშაოების დროს უცნობი არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის შემთხვევებში საქმიანობა უნდა წარიმართოს "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ანგარიშში ასევე მოცემულია გენერალური გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ეტაპები (ცხრილი 36), რომლის მიხედვით 2020-2022 წლებში გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/ობიექტების ინვენტარიზაცია მონაცემებისა და სამართლებრივი სტატუსების დაზუსტება-მინიჭების მიზნით. შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალგამოვლენილი, სარეკომენდაციო ძეგლების სია წარმოდგენილი იყოს სააღრიცხვო ბარათების სახით, ფოტომასალასთან ერთად, რათა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შეძლოს მათთვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა და კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე